ჩთნგჭრი საქართველოთა, სიმღმი ჩვენ ვართ ყველანა!

ᲧᲝᲠᲮᲘᲗᲘ

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2018 წელი № 19 1-15 ოქტომბერი (9442) ფასი 40 თეთრი

ღვაწლი და დამსახურება ქვეყნის წინაშე

თითქმის ორი ათეული წელია 5 ოქტომბერს მსოფლიო მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. მეც ვუერთდები ამ ღირსშესანიშნავ დღეს და ჩვენს მასწავლებლებს პროფესიულ დღესასწაულს ვულოცავ.

ძვირფასო პედაგოგებო, მინდა დღეს კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი თქვენს ღვაწლსა და დამსახურებას ქვეყნის წინაშე. მართლაც, რომ საპასუხისმგებლო მისია აკისრია თითოეულ თქვენგანს. ჩემთვის ღირსეული და მისაბაძია ყველა ის ადამიანი, რომელმაც ცხოვრებაში ეს გზა აირჩია და გადაწყვიტა შესჭიდებოდა ამ დიდ გამოწვევას - მასწავლებლობას.

თქვენი როლი ახალგაზრდების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და თავისუფალი აზროვნების განვითარებაში განუზომელია.

კეთილდღეობასა და წარმატებული მომავალი თაობების აღზრდას გისურვებთ.

ლევან კუპრეიშვილი,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

მუნიციპალიტეტის მერიაში

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფი სენაკში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად შეხვდნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებს - მუნიციპალურ ორგანოებთან ურთიერთობისა და რეგიონში განსახილველი პროექტების დეპარტამენტის უფროსს ირაკლი თოფურიას, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსს გიორგი ცინაძეს, რეგიონში განსახილველი პროექტების მონიტორინგის სამმართველოს უფროსს ბესიკ ბერძენიშვილს, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილეს კობა ქანთარიას და რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსს ნუგზარ გაბელიას.

სამუშაო შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტუქტურული პროექტების ვადებში და ხარისხიანად დასრულების საკითხი. მინისტრის, მაია ცქიტიშვილის დავალებით, სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართულნი არიან, როგორც სამინისტროს წარმომადგენლები, ისე მშენებლები, ექსპერტები, რწმუნებულის ადმინისტრაცია და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ყოველდღიურ რეჟიმში აკვირდებიან რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას.

გარე განათების სისტემის მოწყობის სამუშაოები გრძელდება

აგარაკის ქუჩაზე გარე განათების ქსელის მოწყობის პროცესი აქტიურ ფაზაშია. აღნიშნულ ტერიტორიაზე მგავსი სამუშაოები პირველად ხორციელდება. სამუშაოებს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი აწარმოებს. მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის მიერ გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა სურამის, მშვიდობის(ნატოჩაოს უბანი), ჯანაშიას, მაჩაბლის, ლოლუას, დავითაიას, ზუგდიდის, კლდიაშვილის, ტეხურის, სოხუმის, ლერმონტოვის, საჩოკიას, შარტავას, ცხვიტავას ქუჩებზე, ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში - კოსტავას ქუჩიდან საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით, მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გოლასკურში. გარე განათების დიოდური სანათები დამონტაჟდა რუსთაველის, ნინოშვილის, ვაჰანიას, წერეთლის, წმ. ნინოს, ქურდოვანიძის, კოსტავას, ხორავას, ჭყონდიდელის, ჯორჯაძის ქუჩებზე, რკინიგზის სადგურის მიმდებარე მოედანზე და ახალგაზრდობის ხეივანში. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით, გარე განათების სისტემის მოწყობის სამუშაოები 2018 წლის იანვრიდან დაიწყო და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს.

საინფორმაციო შეხვედრა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა მუნიციპალიტეტში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MIS) დაწყებასთან დაკავშირებით. შეხვედრას გაეროს ბავშვთა ფონდისა და სამოქალაქო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები უძღვებოდნენ.

კვლევა საქართველოს 10 რეგიონში 20 სექტემბერს დაიწყო და 20 დეკემბრამდე გასტანს. იგი მიზნად სხვადასხვა სფეროში ქალებსა და ბავშვების შესახებ ხარისხიანი და საერთაშორისო დონეზე შედარებადი მონაცემების შეგროვებას ისახავს მიზნად, რაც ხელს შეუწყობს მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვას და შემუშავებას. კვლევის ფარგლებში გათვალისწინებულია 2-7 წლამდე ბავშვებში სისხლში ტყვიის შემცველობის განსაზღვრაც და წყლის სინჯების აღება. კვლევის შედეგები, მათ შორის ტყვიის შემცველობის შესახებ, სავარაუდოდ 2019 წლის გაზაფხულზე გახდება ხელმისაწვდომი.

შეხვედრას, რომელიც დისკუსიის რეჟიმში წარიმართა, სენაკის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ორგანიზებულ მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევას, საქართველოს მთავრობის და სხვა დონორი ორგანიზაციების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური განახორციელებს.

მასწავლებელთა დღისადმი მიძღვნილი საღამო

მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული საღამო, რომელსაც განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდების სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, ხელოვნების ცენტრის დირექტორი ვეფხვია ვეფხვაძე, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები და პედაგოგები ესწრებოდნენ.

საღამოზე სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა შეასრულეს მუსიკალური ნაწარმოებები და სიმღერები, ასევე, ისაუბრეს ამაგდარ სენაკელ მოღვაწეებზე, რომლებმაც არაერთი თაობა აზიარეს ჭეშმარიტ ხელოვნებას. ულამაზესი საღამო დასტური იყო იმისა, რომ სენაკის მაღალპროფესიული პედაგოგიური კადრებით გამორჩეულ ხელოვნების კერებში, ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება და ვითარდება.

ისუღოში ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები დაიწყო

სენაკის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ისულას მიმართულებით წლებია ასფალტის საფარი არ განახლებულა, სადაც დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისი“ აწარმოებს. დასაქმებულია 15 ადგილობრივი.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა დაათვალიერა.

ჩასატარებელი სამუშაოების საერთო ღირებულებამ 288 133 ლარი შეადგინა.

ტურიზმის განვითარების რეგიონალური სიმპოზიუმი ანაკლიაში

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ალექსანდრე მოწერელიამ პროგრამა USAI - ის პროექტის „ზრდა საქართველოში“ ხელმძღვანელთან ბრაიან კინგთან, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელთან, თორნიკე ზირაქიშვილთან ერთად ანაკლიაში სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის განვითარების რეგიონალური სიმპოზიუმი გახსნა. ღონისძიება

რეგიონის ტურიზმის განვითარების სამუშაო ჯგუფის პირველი ინიციატივაა, რომელიც წლის ბოლომდე ტურიზმის რეგიონული მართვის ორგანიზაციად (DMO) ჩამოყალიბდება. სიმპოზიუმის მიმდინარეობაში მონაწილეობა მიიღო სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბადრი კალანდარიშვილმა. ღონისძიების მიზანი რეგიონში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების და გამოწვევების განსაზღვრაა, ასევე იმ პრიორიტეტების დადგენა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს რეგიონის პოპულარიზაციას და მის უკეთ წარმოჩენას.

გაგრძელება მეორე გვერდზე

დასახლების საერთო კრება – მოქალაქეთა ჩართულობის ქმედითი მექანიზმი

დრე თუნდაც მუნიციპალიტეტის კვალიფიციურმა სამსახურებმა. თუმცა, რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულ სოფელში, სოფლის გარეთ, მუნიციპალურ დონეზე წყდება. ასევე, არა სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლები, არამედ მუნიციპალური გამგეობის სამსახურები ამოწმებენ კონკრეტულ სოფელში შესრულებული სამუშაოებისა და განხორციელებული სერვისების ხარისხს. როგორც წესი, გამგეობების შიდა მონიტორინგის შედეგები სოფლის მოსახლეობისთვის ცნობილი არ არის. გამომდინარე აქედან, სოფლის მოსახლეობის და გაწყვეტილების პროცესში ჩართულობის, მისი ინტერესების მეტად გათალისწინების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი პროგრესია კანონში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ისეთი მექანიზმის არსებობა, როგორიცაა დასახლების საერთო კრება. იგი წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმას (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 85.3) და უზრუნველყოფს დასახლებაში (სოფელში) რეგისტრირებული ამომრჩევლების ქმედით ჩართულობას ამ დასახლების (სოფლის) მნიშვნელოვანი თემების განხილვის, გადაწყვეტის, მუნიციპალიტეტის წინაშე ინიცირების პროცესში. კრება უფლებამოსილია იმსჯელოს სოციალურ-ეკონომიკურ პროექტებზე მათ ბიუჯეტში ასახვამდე, განიხილოს შესრულებული ან მიმდინარე პროექტები და წარადგინოს შენიშვნები და წინადადებები, წარადგინოს პეტიცია. თავის მხრივ მუნიციპალიტეტი ვალდებული გახდა განიხილოს საერთო კრების გადაწყვეტილება და დასაბუთებული პასუხი აცნობოს კრების წევრებს ან კრების რჩეულს. მუნიციპალიტეტი ასევე ვალდებული გახდა ამ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები განსახილველად წარუდგინოს კრებას, შეათანხმოს დასახლების საზღვრების შეცვლის საკითხი.

დასახლების საერთო კრების მოწვევის, ჩატარებისა და და რეგისტრაციის წესი რეგლამენტირდება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით. მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, სადაც სოფელში არ არის 2000-ზე მეტი ამომრჩეველი, შესაძლებელია კრება მოწვეული იქნას, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე საინიციატივო ჯგუფის მიერ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამტკიცებული აქვს დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულება. საინიციატივო ჯგუფის მიერ კრების ინიციირებისას ჯგუფის 3 წევრს კოდექსში და საკრებულოს მიერ მიღებული დებულებაში აღნიშნული სტანდარტით განცხადება შეაქვს მერის სახელზე, რომელიც ვალდებული ხდება დაარეგისტრიროს ინიციატივა და 3 დღის ვადაში გასცეს რეგისტრაციის ცნობა. კოდექსში გაწერილი რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაც, რომელიც აუცილებლად უნდა დასაბუთდეს და წერილობითი სახით მიეწოდოს საინიციატივო ჯგუფს. საინიციატივო ჯგუფის მიერ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 5% ხელმოწერის შეგროვებისა და ასეთი განაცხადის მერთან წარდგენის შემდეგ, კრება ინიშნება წარდგენიდან სულ მცირე მე-15 დღეს. კრებას უნდა ესწრებოდეს ამომრჩეველთა 20%, რომ იგი ლეგიტიმურად ჩაითვალოს,

დასკვნები:

- საქართველოს ორგანული კანონი 'ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" იძლევა შესაძლებლობას კარდინალურად ამაღლდეს სოფლის მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალური გადაწყვეტილების მიღების, სერვისების მონიტორინგისა და შეფასების, ანგარიშგების პროცესში;
- დასახლების საერთო კრების მოწვევა დაშვებულია ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფის მიერ;
- ვალდებულება კრებას დაესწროს დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 20% მაინც, ძალზედ ართულებს კრების ლეგიტიმაციას;
- სოფელში კრების არსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად იზრდება ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობისა და ანგარიშგების ხარისხი;
- მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არ იცის თუ რა სიკეთეებს შეიცავს მათი სოფლისთვის ლეგიტიმური საერთო კრების არსებობა, მეტიც, საერთოდ არ არის საქმის კურსში ჩართულობის ასეთი საკანონმდებლო მექანიზმის შესახებ.

სტატიის მომზადება შესაძლებელი გახდა ევროპის ფონდის მხარდაჭერით და შვედეთის საერთა-შორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარე „საქართველოს სასოფლო დარბაზის" პროექტის "სასოფლო დასახლებების თვითორგანიზება ადგილობრივი განვითარებისთვის" ფარგლებში. ბროშურის შინაარსზე პასუხის მგებელია „საქართველოს სასოფლო დარბაზი". მასში გადმოცემული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და/ან ევროპის ფონდის შეხედულებებს.

ამირან გიგინეიშვილი,
პროექტის მენეჯერი,
საქართველოს სასოფლო დარბაზის აღმასრულებელი დირექტორი

ბორის (ბოჩია) შურღულაია.

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, არერთი თაობის აღმზრდელი ბორის (ბოჩია) ლუკას ძე შურღულაია.

დაიბადა 1928 წელს 19 მაისს, სენაკის მაზრის სოფელ ხორშში, 1947 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

ჩაირიცხა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1951 წელს.

1951 წელს მუშაობა დაიწყო გუდაუთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მათემატიკის მასწავლებლად.

1952-56 წლებში მუშაობდა ცხაკაიას რაიონის სოფელ ახალსოფლის სკოლაში პედაგოგად.

1956-70 წლებში ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის პირველი მაისის სკოლის დირექტორია.

1970 წლიდან პენსიაზე გასვლამდე, მუშაობდა ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის საშუალო სკოლის დირექტორად და მათემატიკის მასწავლებლად.

გამოირჩეოდა კოლეგიალობით, პედაგოგიური ტაქტით. თაობათა აღმზრდელმა და დამკვალიანებელმა არაერთი მოზარდის ნიჭსა და უნარს მისცა შესაფერისი მიმართულება. მიღებული ჰქონდა საპატიო სიგელები და სახელმწიფო ჯილდოები.

წავიდა ამქვეყნიდან და დიდი ტკივილი დაუტოვა შვილს, შვილიშვილებს, ოჯახის წევრებს, ახლობლებს.

ღმერთმა ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს ყველასგან დაფასებულ და ღირსეულ პიროვნებას.

მეგობრები

ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა–განათლება დაუშრეტელი წყაროა, რომელიც ვალად მყოფობისათვის, ისევ თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. რასაც მცოდნე კაცი ერთს საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ–ხუთ საათს. შესაძლოა კაცს სიმდიდრე თვალ წინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინარობით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი–კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოასოთქმევს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება.

ესეთი ბოიერობა ცოდნისა და სწავლა–განათლებისა ჩვენ საკუთარ თვალ–წინ შესაძლოა კაცმა დაინახოს. რამდენი მაგალითია, რომ უცხო–ქვეყნელი, ვინ იცის საიდამ მოსული და ჩვენში შემოსიზნული, არამც თუ ლუკმა–პურსა ჰშოულობს, მდიდრდება, კეთდება ჩვენს შორის, და ჩვენ–კი, ჩვენს საკუთარ სასლსა და ქვეყანაში, ჩვენს საკუთარ მამა–პაპის მინაზედ, გვენაცვრება სარჩო და საგზალი ცხოვრებისა. ჩვენ მუდამ იმასა ვჩივით და ვტირით, რომ ღარიბნი ვართ, ლუკმა–პურის ილაჯს ვერსად გამსდარვართ, და ის–კი აღარ გვასსოვს, ის–კი აღარ გვაგონდება, სად და რაშია სათავე და მიზეზი ჩვენის სიღარიბისა.

ილია ჭავჭავაძე

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა"-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 5 (493) 22 24 33

მუნიციპალიტეტის მერიაში (გაგრძელება)

შეხვედრა ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი მსოფლიოში ცნობილ პიანისტს, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატს, ხელოვნების აკადემიის რექტორს, „სენაკი არტ-ფესტივალის“ დამაარსებელს, სენაკის საპატიო მოქალაქეს ვალერიან შიუკაშვილს, საქართველოს საგუნდო საზოგადოების სამეგრელოს ფილიალის ხელმძღვანელს შიო აბრახამიას და ა(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის“ დირექტორს ვეფხვია ვეფხვაძეს შეხვდა.

საპატიო სტუმრებმა - ვალერიან შიუკაშვილმა და შიო აბრახამიამ მადლიერება გამოთქვეს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელებულ კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებზე - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის პატრონაჟითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით უკვე მეექვსედ ჩატარდა „სენაკი არტ-ფესტივალი“, რომელშიც მიმდინარე წელს დასავლეთ საქართველოს მასშტაბით 2800-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს საგუნდო საზოგადოების სამეგრელოს ფილიალის ორგანიზებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის მხარდაჭერით, უკვე მეოთხედ გაიმართა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნული კონკურსი.

აღნიშნულმა პროექტებმა არაერთი უნიჭიერესი ნორჩი მუსიკოსი, შემოქმედებითი ჯგუფი და საგუნდო კოლექტივი გამოავლინეს.

შეხვედრაზე ისაუბრეს „სენაკი არტ-ფესტივალი-2019“-ის, ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეხუთე ეროვნული კონკურსის მასშტაბურად ჩატარებისა და ახალი მუსიკალური პროექტის განხორციელების შესახებ.

„კულტურული მემკვიდრეობის ევროპული დღეები სენაკში".

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ა(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით ქალაქის ცენტრალურ პარკში „ევროპის მემკვიდრეობის დღეების“ ფარგლებში ფლეშმობი გაიმართა.

მოეწყო ევროპის კულტურული კონვენციის ხელმომწერი ქვეყნების სახელმწიფო დროშების გამოფენა და ლიტერატურული პერფორმანსი „კულტურული მემკვიდრეობის ევროპული დღეები სენაკში.“

2018 წელი, ევროკომისიის ინიციატივით, კულტურული მემკვიდრეობის წლად გამოცხადდა.

„ევროპის მემკვიდრეობის დღეები“ 1985 წლიდან აღინიშნება.

ამ პროგრამის ფარგლებში, ჩვენს ქალაქში არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა.

ევროპის მემკვიდრეობის დღეები სენაკში



ევროპის დღეების ფარგლებში, დღეს, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრთან არსებული სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საღამო, რომელიც ევროპულ ხელოვნებას, კერძოდ - მხატვრობასა და მუსიკას მიეძღვნა. საღამოზე წარმოჩენილი იყო რენესანსული პერიოდი მხატვრობაში, ასევე, 1918-24 წლებში ქართველი ხელოვანების სწავლისა და მოღვაწეობის ხანა ევროპაში, მათი ურთიერთკავშირები ხელოვნების ცნობილ ევროპელ მეტრებთან.

საღამოს საპატიო სტუმარმა - დამსახურებულმა ქართველმა მხატვარმა, ჩვენმა თანაქალაქელმა რეზო ადამიამ, რომლის ნახატებიც სცენიდან ეგებებოდა დამსწრე საზოგადოებას, ისაუბრა თავისი პედაგოგის, გამოჩენილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის პარიზულ მოგონებებზე, ხელოვნების არსზე და ძველი კოლხური კულტურის როლზე მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში. ღონისძიებაზე სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა შეასრულეს ევროპელი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

„ეტალონის" დასკვნითი ტური სენაკში

4 ოქტომბერს, 20:28-ზე სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონის'' დასკვნითი ტური გაიმართა, რომელშიც სენაკის სასკოლო კონკურსებში გამარჯვებული მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

კონკურსი მედიაპროექტ „ეტალონის'' ავტორსა და წამყვანს გოჩა ტყეშელაშვილს მიჰყავდა. შემეცნებით ინტელექტუალურ შეჯიბრს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბადათურია, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი დარეჯან ზარანდია, თვითმმართველობის, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები და ადგილობრივი საზოგადოება ესწრებოდნენ.

მონაწილეებს წარმატებები უსურვეს გრიგოლ ბადათურიამ, დარეჯან ზარანდიამ, სენაკის საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებმა . კონკურსის მსვლელობა მუსიკალური და მხატვრული კითხვის ნომრებით იყო გაფორმებული. პირველი ადგილი და „სენაკის ეტალონი 2018''-ის ტიტული მოიპოვა თეკლათის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ გიორგი ხურციამ, რომელიც, 2019 წლის ივნისში, თბილისში, „ეტალონის'' ფინალურ ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. მე-2 ადგილი წილად ხვდა წმ. ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეს თემურ შეროზიას. მესამე ადგილზე მეშვიდე საჯარო სკოლის მოსწავლე მეგი იმდეიშვილი გავიდა.

კონკურსს ორგანიზაციულ მხარდაჭერას უწევდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერია, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ერთად.

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი საქართველოს მასშტაბით პირველად 2015–2016 სასწავლო წელს გაიმართა. „ეტალონი'' გამოგონებული და დაპატენტებულია საქართველოში და მსოფლიოში არსებულ ინტელექტუალურ თამაშებს შორის ანალოგი არ აქვს. იგი აგებულია განწყობის თეორიაზე, ეყრდნობა კითხვების შედგენისა და დასმის მეცნიერულ მიდგომებს და ქულათა დაანგარიშების ინოვაციურ სისტემას. პროექტი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეგიდით ხორციელდება.

შეხვედრა ლტოლვილთა დანიის საბჭოს წარმომადგენლებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი და მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბადათურია, დღეს, საერთაშორისო ორგანიზაცია ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორს ვინსენტ ჟაკ ივ დონტოტს და დასავლეთ საქართველოს სამხარეო მენეჯერს მზევი ჯოჯუას შეხვდნენ. საინფორმაციო ხასიათის შეხვედრაზე საუბარი საერთაშორისო ორგანიზაციისა და მუნიციპალიტეტის მომავალ თანამშრომლობას და ერთობლივად განსახორციელებელ უმნიშვნელოვანეს პროექტებს შეეხო. აღსანიშნავია, რომ ლტოლვილთა დანიის საბჭო არაერთი წელია თანამშრომლობს სენაკის მუნიციპალიტეტთან. ორგანიზაციის მიერ მუნიციპალიტეტში განხორციელდა დევნილთათვის მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების რეაბილიტაციის სხვადასხვა პროექტი. მათ შორის: ჭყონდიდელის ქუჩაზე 35 ბინიანი, სანაიას ქუჩაზე 45 ბინიანი, რუსთაველის ქუჩაზე 6 ბინიანი, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე და სხვა საცხობრებელი სახლების სრული რეაბილიტაცია. ამავე ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდა ყოფილი სასტუმრო „ეგრისის'' შენობა.

„საქართველოს მოხალისის" სტატუსით

29 სექტემბერი სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინფ ჰენდისა“ და მოხალისეობის განვითარების პროგრამის - „საქართველოს მოხალისეს“ ფარგლებში ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულ სენაკელ ახალგაზრდებს - ლარისა ნაჭყებიასა და ნიკოლოზ ქეცბაიას შეხვდა.

კონკურსის პირობების თანახმად, ქალაქ თბილისიდან 148 მოხალისე და საქართველოს 64 მუნიციპალიტეტიდან (ორი მოხალისე თითო მუნიციპალიტეტიდან) შეირჩა.

ლარისა ნაჭყებია და ნიკოლოზ ქეცბაია ის სენაკელი ახალგაზრდები არიან, რომელთაც მიენიჭათ „საქართველოს მოხალისის“ სტატუსი.

შეხვედრაზე ისაუბრეს ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე, მათი ცოდნისა და უნარების გამოყენებით, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებასა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე, ისეთი ინიციატივების დაგეგმვაზე, როგორიცაა: მოხალისეთა კლუბების შექმნა, საქველმოქმედო საქმიანობა - სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანების დახმარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, შშმ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაცია და სხვა.

მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა სენაკელ ახალგაზრდებს წარმატებები უსურვა და სამომავლო თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

მასობრივი შეჩამვლითი სამუშაოები

ქალაქ სენაკის მასშტაბით ჩატარდა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო მასობრივი შეწამვლითი სამუშაოები, რომელშიც ჩართული იყო 11 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი თერმული ნისლის შემასხურებელი აგრეგატით.

აღნიშნული სამუშაოები როგორც ქალაქში, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში, აქტიურად გაგრძელდება.

რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

სენაკის სასპორტო გაერთიანების ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სპორტის სასახლეში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის შოთა მორჩილაძისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების - კარლო ჯოჯუასა და ალეკო მურღულიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული, რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

ტურნირში ბათუმის, ხულოს, ოზურგეთის, ფოთის, ლანჩხუთის, ხობის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, ქუთაისის, თერჯოლის ნაკრები გუნდები, 2004-2005 და 2006-2008 წლებში დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ.

ტურნირის მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი ესწრებოდა.

გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა ბათუმის გუნდს, რომელსაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის კარლო ჯოჯუას სახელობის თასი გადაეცა.

საუკეთესო ტექნიკური ჭიდაობისთვის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ალეკო მურღულიას სახელობის თასი სენაკელმა დემეტრე მეფიშვილმა მოიპოვა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა პირველ საპრიზო ადგილზე გასულ, სენაკელ გიორგი ჭაავას საუკეთესო ჭიდაობისთვის, მსოფლიო ჩემპიონის შოთა მორჩილაძის სახელობის თასი გადასცა.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს თასები, შესაბამისი ხარისხის მედლები და სიგელები თვითმმართველობისა და სასპორტო გაერთიანების წარმომადგენლებმა გადასცეს.

გაგრძელება მესამე გვერდზე

მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)

გიორგი ჩხიკვაძე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონი

12 ოქტომბერს, არგენტინაში, ბუენოს აირესში, 17 წლის ქართველი ფალავანი სენაკიდან - გიორგი ჩხიკვაძე (60 კგ) ახალგაზრდული ოლიმპიურ თამაშების ჩემპიონი გახდა. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ჩვენი ქვეყნის სპორტსმენმა ახალგაზრდული ოლიმპიადის ოქროს მედლის მოპოვება შეძლო.

გიორგი ჩხიკვაძემ არგენტინაში სულ სამი ბრძოლა გამართა. პირველ წრეში ქულებით ძლიერი სომეხი მეტოქე საჰაკ ივანესიანი დაამარცხა, მეორეში - ალჟირელ აჰმედ მერიხი, ფინალში, ვადაზე ადრე, ყირგიზელ ელმირბეკ სადიროვთან ბრძოლა დამაჯერებელი გამარჯვებით დაასრულა.

მესამე ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე პირველი ოქროს მედლის მფლობელი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, სენაკელი გიორგი ჩხიკვაძე გახდა.

მრჩეველთა საბჭო

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრას მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერიის სხვა პასუხისმგებელი პირები ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის მერმა მრჩეველთა საბჭოს გააცნო მიმდინარე წელს განხორციელებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული პროექტები. ამასთან, მრჩეველთა საბჭოს წევრები მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან საახლეებს გაეცნენ. სხდომა დიალოგის რეჟიმში წარიმართა.

სამუშაო შეხვედრაზე განხილულ იქნა 20 ოქტომბერს სახალხო დღესასწაულ „ეგრისობაზე“ დაგეგმილი ღონისძიებები. სხდომაზე იმსჯელეს სენაკის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერმა მოისმინა საბჭოს წევრების წინადადებები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით, მრჩეველთა საბჭოს თავმჯომარედ არჩეულ იქნა ანზორ ცაგურია, მდივნად - ლია ხელაია.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი შეხვედრა ბიუჯეტის პროექტისა და მისი განხორციელების დეტალურ განხილვას დაეთმობა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან
ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები

ერთად საქართველოსთვის *უფასო პოლიტიკური რეკლამა*

№48 სალომე ზურაბიშვილი

დაიბადა 1952 წლის 18 მარტს, პარიზში.

1972 წელს დაამთავრა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით.

1972-1973 წლებში სწავლობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში.1974 წელს მუშაობა დაიწყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, საიდანაც მიავლინეს რომში, საფრანგეთის საელჩოს მესამე მდივნის თანამდებობაზე.1977-1980 წლებში მუშაობდა გაეროში, საფრანგეთის მუდმივმოქმედ მისიაში, მეორე მდივნად.

1980-1984 წლებში მუშაობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და პროგნოზის ცენტრში.

1984-1988 წლებში იკავებდა ა.შ.შ.-ში საფრანგეთის საელჩოს პირველი მდივნის თანამდებობას.

1988-1989 წლებში ხელმძღვანელობდა საფრანგეთის დელეგაციას ძალების შემცირების მოლაპარაკებებზე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ფარგლებში.

1989-1992 წლებში იყო ჩადში საფრანგეთის საელჩოს მეორე მრჩეველი.

1992-1993 წლებში მუშაობდა ევროატლანტიკურ საბჭოში საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისიის პირველ მდივნად.

1993-1996 წლებში მუშაობდა დასავლეთ ევროპის კავშირში საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილედ.

1996-1998 წლებში იკავებდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველის თანამდებობას.

1998-2001 წლებში ხელმძღვანელობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის საკითხთა, უშიშროებისა და განათლების სამმართველოს.

2001-2003 წლებში იყო საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის გენერალური სამდივნოს საერთაშორისო და სტრატეგიულ საკითხთა დირექტორი.2003 წელს სალომე ზურაბიშვილი დაინიშნა საქართველოში საფრანგეთის სრულუფლებიან ელჩად.

2004 წლის მარტიდან 2005 წლის ოქტომბრამდე იკავებდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას.

2005 წლიდან იყო არადემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ოპოზიციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი საქართველოში.

2016 წელს გახდა მთაწმინდის ოლქის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი.

სალომე ზურაბიშვილს მიღებული აქვს საფრანგეთის რესპუბლიკის საპატიო ლეგიონის ორდენი და საფრანგეთის რესპუბლიკის ღირსების სახელმწიფო ორდენი.

ძალა ერთობაშია *უფასო პოლიტიკური რეკლამა*

№ 5 გრიგოლ ვაშაძე-საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი

28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს არის რეფერენდუმი, რომლითაც უარი უნდა ვუთხრათ ივანიშვილის მმართველობას და დავიწყოთ განვითარების ახალი ეტაპი. ჩვენ შევცვლით ივანიშვილის ოლიგარქულ მმართველობას და ეს სწორედ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებით უნდა დავიწყოთ.

ქვეყანას ეყოლება პრეზიდენტი, რომელიც დაიცავს თითოეული მოქალაქის უფლებას

ქვეყანას ეყოლება პრეზიდენტი, რომელიც წინ აღუდგება უსამართლო კანონებს

ქვეყანას ეყოლება პრეზიდენტი, რომელიც იქნება სამართლიანობის გარანტი

ქვეყანას ეყოლება პრეზიდენტი, რომელიც იქნება ქვეყნის სახე და ღირსეულად წარმოაჩენს საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე.

ქვეყანას ეყოლება პრეზიდენტი, რომელიც იქნება ქართული ჯარის ღირსეული უმაღლესი მთავარსარდალი, უხელმძღვანელებს ჩვენს ძალისხმევას უსაფრთხო მომავლისათვის და ჩვენს სვლას ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ.

ქვეყანაში შეიცვლება პოლიტიკური ვითარება და „ქართული ოცნება“ ჩამოშორდება სახელმწიფო მართვას

ახალი ხელისუფლება მოიზიდავს პროფესიონალებს სახელმწიფო სამსახურში.

ახალი ხელისუფლება შეამცირებს სახელმწიფო ბიუროკრატიას.

ახალი ხელისუფლება შეამცირებს გადასახადებს

ახალი ხელისუფლება უზრუნველყოფს ეკონომიკის ორნიშნა ზრდას.

ახალი ხელისუფლება გააორმაგებს განათლების დაფინანსებას.

ახალი ხელისუფლება დაასტაბილურებს ლარს

ახალი ხელისუფლება უზრუნველყოფს ბიზნესის თავისუფლებას

ახალი ხელისუფლება განავითარებს სოფელს

ახალი ხელისუფლება დაამარცხებს კრიმინალს და შექმნის უსაფრთხო გარემოს

აღმოფხვრის კორუფციას

დაზოგილ ბიუროკრატიულ ხარჯებს მიმართავს სოციალურ საჭიროებებზე

ახალი ხელისუფლება გაზრდის პენსიას 400 ლარამდე

ახალი ხელისუფლება გაზრდის პედაგოგის ხელფასს 1000 ლარამდე

ახალი ხელისუფლება გაზრდის პოლიციელის ხელფასს 2000 ლარამდე

ახალი ხელისუფლება გამოაცხადებს ორ წლიან მორატორიუმს უსამართლო საბანკო თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ვალების გადახდაზე და ყველა ვალი დაანგარიშდება 2012 წლის კურსით (1.66)

ახალი ხელისუფლება შემოიღებს რეგულაციებს, რომლითაც ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვედარ იქნებიან მევახშეები და მოუწევთ საპროცენტო განაკვეთის დაწევა

ახალი ხელისუფლება შექმნის სამართლიან სასამართლოს

ახალი ხელისუფლება აღკვეთს ეკოლოგიური გარემოს გაანადგურებასა და ბუნებრივი რესურსების ძარცვას

ახალი ხელისუფლება აკრძალავს ქვეყანაში უცხოელების არალეგალურ მიგრაციას

ახალი ხელისუფლება დაუმკვიდრებს საქართველოს ღირსეულ ადგილს საერთაშორისო ასპარეზზე, სადაც უმთავრესი ძალისხმევა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე იქნება მიმართული.

დასახლების საერთო კრება – მოქალაქეთა ჩართულობის ძმიდითი მექანიზმი

საქართველოს ორგანული კანონში “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” ადგილობრივი თვითთმართველობა განმარტებულია როგორც „თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.“გამომდინარე ამ განმარტებიდან, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, როგორც ადგილობრივი დემოკრატიის განხორციელების უმთავრესი მექანიზმისთვის, ძალზედ მნიშვნელოვანია არჩეული ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის გადაწყვეტილების პროცესში ჩართვის სრულფასოვანი უზრუნველყოფა. ამასვე ამბობს „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, სადაც აღნიშნულია, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ლეგიტიმურია მხოლოდ არჩეული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი სტრუქტურის შემთხვევაში, „ეს დებულება არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს მოქალაქეთა მონაწილეობაზე ასამბლეებში,რეფერენდუმებში და ნებისმიერი სახის პირდაპირ მონაწილეობაზე იქ,სადაც ეს კანონით ნებადართულია“ (მუხლი 3.2). სწორედ ამ საფუძველზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით, 2015 წლის 22 ივლისს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, განხორციელდა ცვლილება და მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთ უმთავრეს ფორმად განისაზღვრა დასახლების (სოფლის) საერთო კრება.

2006 წელს განხორციელებული თვითმმართველობის რეფორმის შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობა დასცილდა სოფელს და იგი მუნიციპალურ დონეზე ავიდა. მაგალითად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 55 სოფელს ერთი თვითმმართველობა ყავს. არადა სოფელი თავისი არსით ცალკე თემს, საერთო ოჯახს წარმოადგენს თავისი პრობლემებით, რომლებიც ხშირად სხვა თემებისგან განსხვავებულ ხასიათს ატარებს. სოფელმა უკეთ იცის საკუთარი საჭიროებები, ვი-

გაგრძელება მეოთხე გვერდზე